საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

04/08/2025

MES 0 25 0000968528

გადაწყვეტილება

შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ აიიუთის მასწავლებლის მომზადების საგანმანა თლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 და მე-9 პუნქტების და აკრედიტაციის დებულების 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 4 წელი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 26 თებერვლის №209037 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.
2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:
ა) საბჭომ 1.1 კომპონენტში შეცვალა რეკომენდაციის ფორმულირება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:
„რეკომენდებულია, დარგობრივი და სავალდებულო დოკუმენტების გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, შეფასების მექანიზმები და სხვა“.
აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
ბ) საბჭომ 1.2 კომპონენტში დაამტა შემდეგი რეკომენდაცია:
„რეკომენდებულია, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მუშაობაზე პასუხისმგებელი კომიტეტი სრულფასოვნად იყოს ჩართული პროგრამის შემუშავებაში და ეყრდნობოდეს დარგობრივ და სავალდებულო დოკუმენტებს.“
აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა გამოიწვია პირველი სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად - „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ აიიუთის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 4 წლის ვადით - 2029 წლის 21 ივლისამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 4 აგვისტოს სხდომის №968514 ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დარგობრივი და სავალდებულო დოკუმენტების გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, შეფასების მექანიზმები და სხვ.

- რეკომენდებულია, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მუშაობაზე პასუხისმგებელი კომიტეტი სრულფასოვნად იყოს ჩართული პროგრამის შემუშავებაში და ეყრდნობოდეს დარგობრივ და სავალდებულო დოკუმენტებს.
- რეკომენდებულია, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის ინდივიდუალურად შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში იყოს რელევანტური და უშუალოდ ამ პროგრამისათვის განსაზღვრული

- რეკომენდებულია, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ სასწავლო კურსებში კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა მოხდეს მკაფიო კრიტერიუმების მიხედვით.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსებისთვის დადგინდეს წინაპირობები და სასწავლო პრაქტიკას კი დაშვების წინაპირობად დაემატოს მოდულის შესაბამისი საგანი/საგნები.

- რეკომენდებულია, შემუშავდეს სასწავლო პრაქტიკის ობიექტების შერჩევის მკაფიო კრიტერიუმები.

- რეკომენდებულია, შემუშავდეს პრაქტიკის საუნივერსიტეტო ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების წესი.

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში, ცალკეულ თემებში დასახელებული იყოს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა.

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში მითითებული რუსულენოვანი ლიტერატურა ჩანაცვლდეს ქართულენოვანი ლიტერატურით, რადგან პროგრამის წინაპირობებში არ არის მითითებული რუსული ენის ცოდნა.

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში აღნიშნული ლიტერატურა მითითებული იყოს სილაბუსებში სრულყოფილად.

- სასწავლო კურსების სილაბუსებში, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებულია გასულ საუკუნეში გამოცემული ნაშრომები. რეკომენდებულია, დაემყაროს თანამედროვე კვლევებს.

- რეკომენდებულია, ლიტერატურის ნაწილი გაიმიჯნოს სხვადასხვა სასწავლო კურსებში, რათა არ მოხდეს თემატური გადაფარვა.

- რეკომენდებულია, ქართულის, როგორც მეორე ენის მეთოდიკის სწავლებისას ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის გათვალისწინება.

- რეკომენდებულია, დაზუსტდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები და განისაზღვროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №53/ნ, 29.04.2020 ბრძანების მიხედვით, კერძოდ, არსებულ ჩანაწერს დაემატოს დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება შესაბამის საგანში/საგნებში.

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშოს საგამოცდო პროგრამა და გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურები.

- რეკომენდებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მეთოდიკის სასწავლო კურსებში სწავლების ლაბორატორიული მეთოდების (რეალური სასკოლო ექსპერიმენტის სიმულაცია) გაძლიერება, საბუნებისმეტყველო მეციერებების თეორიულ-ექსპერიმენტული ბუნების გათვალისწინებით.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის პოტენციური შესაძლებლობა უნივერსიტეტის ლაბორატორიების გამოყენებისათვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მეთოდიკის სასწავლო კურსებისთვის აისახოს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მეთოდიკის სასწავლო კურსების შინაარსში და სწავლების მეთოდებში.

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა შეფასება შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.
- რეკომენდებულია, შუალედური გამოცდა უზრუნველყოფდეს ცოდნის შემოწმებას სწავლის შუალედურ ეტაპზე.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ვებგვერდზე, შესაბამის კატალოგში, განთავსდეს
- ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, მათ შორის, შემდეგი ინფორმაცია: პროგრამის საკვალიფიკაციო აღწერილობა (პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია), პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, ასათვისებელი კრედიტების მოცულობა, შეფასების წესი და სხვ.) და სტრუქტურის – სასწავლო დისციპლინათა სემესტრული ბადის, ამ საგნებზე დაშვების წინაპირობების, მათი კვირეული სააუდიტორიო დატვირთვის შესახებ, სადაც მითითებული იქნება როგორც პროგრამის ლიდერის, ასევე სკოლის სხვა დამხმარე პერსონალის საკონტაქტო ინფორმაცია.
- რეკომენებულია, დაწესებულებამ განსაზღვროს სტუდენტთა მიღებისა და მოდულებზე განაწილების გეგმა.

- რეკომენდებულია, პროგრამის განხორციელებაში აფილირებული აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართვა და ამით აკადემიურ, მათ შორის აკადემიურ აფილირებულ და მოწვეულ პერსონალს შორის ისეთი ბალანსის დაცვა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მეტად მდგრადობას.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ იზრუნოს პროგრამის ლიდერის დატვირთვაზე მისი ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად და ამასთანავე, პროგრამის შემუშავებასა და შემდგომ მის განხორციელებაში ეფექტიან ჩართვაზე.
- რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვისა და ასევე, პროგრამის ხელმძღვანელისთვის საჭიროებების იდენტიფიცირებით დაგეგმილი პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი აქტივობების/ღონისძიებების განხორციელება.

- რეკომენდებულია, უსდ-მ უზრუნველყოს სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ლიტერატურის არსებობა ბიბლიოთეკაში და იზრუნოს პროგრამაზე ჩარიცხული პირებისთვის თანამედროვე ლიტერატურის ხელმისაწვდომობაზე.

- რეკომენდებულია, ხარისხის მართვის სამსახურმა უზრუნველყოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი კომიტეტისათვის სამუშაო შეხვედრების ციკლის ჩატარება დარგობრივი მახასიათებლისა და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების გაცნობისათვის.

- გარე კოლეგიალური შეფასების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მოწვეულ იქნან როგორც ჰუმანიტარული სფეროს, ისე ზუსტი და საბუნებისმეტყველო დარგების წარმომადგენლები, რათა გათვალისწინებულ იქნას აღნიშნული მეცნიერებების სწავლების თავისებურებები, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათი ექსპერიმენტულ-თეორიული ბუნებიდან გამომდინარე.

- საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის მარეგულირებელ დოკუმენტებში მიეთითოს მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 21 ივლისს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების ინფორმირების დღიდან დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე